ქართული საინფორმაციო ცენტრის

# პრეს-ბიულეტენი

N4
12.2.90
გამოდის კვირაში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო გასული კვირის ქრონიკა

ახმეტა 4. ორმა ექიმმა -სტომატოლოგმა და ოფტომოლოგმა უარი განაცხადეს წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. მათი უარი გამოწვეულია იმით, რომ მათ არ სურთ თავიანთი თანამემამულეები გააგზავნონ აშკარა სასაკლაოზე.

ცნობილია რომ 1989 წლის აპრილიდან საბჭოთა არმიის რიგებში მოკლულია უკვე 70 ახალგაზრდა.

თბილისი 5. თბილისის სულხან საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში 5 თებერვალს მუშაობას შეუდგა სკოლის მოსწავლეთა I საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განათლების საქმეთა კომიტეტის მიერ. მასში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის საშუალო სკოლების 300-ზე მეტი წარმომადგენლები.

კონფერენცია გაიხსნა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნით "დიდება". ამის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილის გმირებს, აფხაზეთში და ოსეთში ეთნოკონფლიქტის დროს დაღუპულთ, აგრეთვე ზურაბ ჭავჭავაძისა და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

დღის წესრიგის I პუნქტით, " სკოლების დეიდეოლოგიზაცია და დეპოლიტიზაცია", კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც დაჰგმო საშუალო სკოლებში პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა. ასევე იქნა განხილული საკითხები, სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის საქართველოს ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის და დაწყებითი სამხედრო მომზადების შესწავლის შესახებ. აღნიშნული იქნა, რომ ამჟამად არსებული სახელმძღვანელოები ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში ვერ აკმაყოფილებენ დროის მოთხოვნებს. თუმცა როგორც აღნიშნა განათლების მინისტრმა კოტე გაბაშვილმა, ბევრი გაკეთდა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგალითად გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები დაწყებითი სამხედრო მომზადების პედაგოგთათვის, რადგან დღემდე ამ საგნის სწავლება ქართულ სკოლებში მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ასევე გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე სასკოლო ფორმა.

კონფერენციამ აუწყა დამსწრეთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი ლიგის შექმნის თაობაზე, რომელიც შეასრულებს სკოლის მოსწავლეთა თავისებური პროფკავშირის ფუნქციას. 6 თებერვალს კონფერენციამ განაგრძო მუშაობა.

სოხუმი 6. ჩატარდა აფხაზეთის სახალხო ფორუმის - "აიდგილარას "II ყრილობა. ყრილობამ შეიტანა ცვლილებები პროგრამისა და წესდების იმ მუხლებში რომლებიც შეეხება შიდაორგანიზაციულ საკითხებს, აფხაზეთის სახალხო ფორუმის თავმჯდომარედ არჩეულია ა. გოგუა, მაგივრად ნ. შამბას.

ყრილობამ მიიღო დეკლარაცია, სადაც ნათქვამია; რომ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობის აღდგენა "არის გარდაქმნის ერთერთი პირობა" ნათქვამია აგრეთვე, რომ სსრკ-ს სხვადასხვა რაიონებში გააქტიურეს თავისი საქმიანობა "ექსტრემისტულმა ძალებმა" რაც არის ძალადობის და სისხლისღვრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. აღინიშნა, რომ "აიდგილარა" გმობს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

მიღებული იყო აგრეთვე რეზოლუცია აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ, სადაც წამოყენებულია აფხაზეთის გენოციდის აღიარების მოთხოვნა. 1931 წ. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაქცევა პოლიტიკურ აგრესიად არის მონათლული. ყრილობამ მოითხოვა აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღება, სადაც გარანტირებული იქნება აფხაზეთის სუვერენული უფლებები. 6 თებერვალს ყრილობამ დაამთა-

ვრა მუშაობა.

3 დღით ადრე ჩატარდა აფხაზეთში მცხოვრებ სომეხთა პოლიტიკური ორგანიზაციის "კრუნკ"-ის დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, დემოკრატიული კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. მოსკოვის სომხური სათვისტომოს წარმომადგენლები. მან განაცხადა, რომ "აიდგილარა" მიესალმება აფხაზეთში სომხური ორგანიზაციის შექმნას.

რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლის სიტყვით ახლად შექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავი მოარიდეს პასუხის გაცემას მისი საქართველოს დამოუკიდებლობის კონცეფციაზე შეხედულების შესახებ.

კიდევ ერთი სომხური ორგანიზაცია არსებობს ქ.გაგრაში: "მიაცუმი ".

თბილისი 6. განაგრძო მუშაობა თბილისის სკოლების მოსწავლეთა I კონფერენციამ.

მეორე დღეს მუშაობა გაიხსნა ლოცვის-"მამაო ჩვენოს" წაკითხვით. შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სახალხო განათლების საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ. დებატები დასრულდა მ.კოსტავას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორის, ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციის წევრის კ.კაპანაძის გამოსვლის შემდეგ. იგი შეეხო საქართველოს სასწავლო დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობას.

კონფერენციას დაესწრნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის ლიდერი ზ გამსახურდია და სედპ-ს თავმჯდომარე ი. წერეთელი. მან გაიზიარა დიფერენცირებული სწავლების შემოღების იდეა სკოლებში. კონფერენციაზე აღინიშნა რელიგიის და ხელოვნების ისტორიის შესწავლის აუცილებლობა სკოლებში. ითქვა, რომ დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება საქართველოს კარგი სპეციალისტები, ამიტომ მიუღებელია სასწავლო პროცესის პოლიტიზაცია. სტუმრებმა განაცხადეს რომ აღარ მოუწოდებენ სასწავლო დაწესებულებებს გაფიცვებისაკენ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია მოზარდთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ამასთან დაკავშირებით ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ პირები, რომლებიც ჩაიდენენ დანაშაულს ძალადობის გამოყენებით, გამოცხადდებიან ჰელსინკის კავშირის მიერ სამშობლოს მოღალატეებად.

7 თებერვალს კონფერენციამ განაგრძო მუშაობა. მიღებულ იქნა მოსწავლეთა დამოუკიდებელი ლიგის წესდება და პროგრამა გადაწყდა უახლოეს დროს მოიწვიონ მოსწავლეთა დამოუკიდებელი ლიგის ყრილობა.

თბილისი 7. 17 სთ-ზე ოფიცერთა სახლის წინ წმ. ქეთევან წამებულის საზოგადოების ინიციატივით გაიმართა ხანმოკლე მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ: ყოფილი პოლიტპატიმარი ლ.შაკიაშვილი თ.ს.უ. დოცენტი ი.ჭილაძე. მიტინგის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს ახალწვეულების სამშობლოს ფარგლებს გარეთ გაგზავნის თაობაზე. შემდეგ მიტინგმა გადაინაცვლა საქართველოს ც.კ.კ.პ-ის შენობასთან, რომლის ფოიეში გრძელდებოდა სამაჩაბლოდან ჩამოსული ქალების შიმშილობა და მჯდომარე გაფიცვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და როკის გვირაბის გაუქმების მოთხოვნით. აქ გამოვიდნენ წმ. ქეთევან წამებულის საზოგადოების აქტივისტები, შიმშილობის აქციაში მონაწილე ქალები. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატულია სოლიდარობა მოშიმშილე ქალებისადმი. რეზოლუციაში გამოთქმულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის აუცილებლობა, რომელმაც უნდა განიხილოს სმხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და როკის გვირაბის გაუქმების საკითხი. მომიტინგეებმა აგრეთვე მოითხოვეს ეროვნული არმიის და სამხედრო სამინისტროს შექმნა, საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან.

ახალქალაქი 8. ორი დღის წინ ახალქალაქის რაიონის სოფ. ბეჟანოში, რომელიც მთლიანად დასახლებულია ეროვნებით სომეხი მოსახლეობით, შედგა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ რადგან დაბა ბაკურიანში ცუდად არის მოგვარებული სასმელი წყლის საკითხი, საჭიროა ამ სოფლიდან გაყვანილ იქნას ბაკურიანში სასმელი წყალი. ამ მოლაპარაკებას ესწრებოდნენ ქ. ბორჯომის წმ. ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლები. მათი ცნობით, სოფ. ბეჟანოს მაცხოვრებლებმა უარი განაცხადეს სასმელი წყლის გამოყვანაზე.

თბილისი 8. საქართველოში ფართოდ აღინიშნა დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღე. $17^{00}$ სთ-ზე თბილისში ჩატარდა მიტინგი, რომელიც მოაწყო ს.ე.დ.პ.მ და წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე ზ. გამსახურდია, ს.ე.დ.პ-ს თავმჯდომარე ი.წერეთელი, ი.ჭავჭავაძის საზ. გამგეობის წევრი ჯუმბერ კოპალიანი და სასულიერო პირები. ორატორებმა ილაპარაკეს დავით აღმაშენებლის პიროვნების ფენომენზე. აღნიშნეს, რომ იგი არა მარტო ძლიერი პოლიტიკოსი, არამედ ბრწყინ-

ვალე პოეტი და მოაზროვნეც იყ. გამოცხადდა რომ 10 თებერვალს ქუთაისში ჩატარდება მიტინგი მიძღვნილი დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღისადმი. ამ მიტინგში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისში წავლენ ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები.

თბილისი 8. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სასწავლებლის ავტონომიის გამოცხადების შესახებ. მიღებულ იქნა ავტონომიის დეკლარაცია. უნივერსიტეტს დღეიდან სახელმწიფო დააფინანსებს, სასწავლებლის ბიუჯეტი კი ცალკე მუხლად შევა საქართველოს სსრ ბიუჯეტში.

ლანჩხუთი 10. ე.დ.პ.-ის წარმომადგენლებმა სკოლებსა და საწარმოებში ჩაატარეს აგიტაცია არჩევნების ბოიკოტირების შესახებ.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. არჩეულში მცხეთიდან ჩავიდნენ პროტესტანტური ეკლესიის მოძღვრები და ჩაატარეს ბაპტისტური წირვა.

2-3 დღის შემდეგ ამავე სოფელში ჩავიდნენ საქ. ე.დ.პ.-ის წარმომადგენლები შეხვდნენ სოფლის მაცხოვრებლებს. ვახტანგ ზენაიშვილმა და გოჩა ურუშაძემ წაიკითხეს მოხსენებები:

1) რელიგიის არსი და მისი მნიშვნელობა: ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ეროვნული მოძრაობის წარმატებაში.

2) ქრისტიანული რელიგიის ჰუმანური ბუნებისა და რწმენის მესიანური როლი ადამიანის ყოფასა და პიროვნებაში. ლონისძიებას დაესწრო ჯიხათის მონასტრის მორჩილი რომანოზი, რომელმაც მონაწილეებს გადასცა საეკლესიო კალენდრები, ჯვრები, ლოცვანი და საშობაო ეპისტოლეები. გადაწყდა ამ სოფელში ეკლესიის აღდგენა, რომელიც მოემსახურება ახლო მდებარე სოფლებსაც.

ლანჩხუთის ცენტრში, პროფკავშირების კლუბში ე.დ.პ.-ს წევრის დოდო გუგუშაშვილის ინიციატივით ანსამბლმა "აქაურამ" ჩაატარა საქველმოქმედო კონცერტი. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ატარებდა მთლიანად ეროვნულ ხასიათს.

თბილისი 11. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გამოაქვეყნა განცხადება 2 თებერვალს თამარ ჩხეიძის სახლთან მომხდარ დემონსტრაციაზე. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თვლის, რომ ეს აქცია ს.უ.კ.-ის მოქმედების შედეგია და აღნიშნავს რომ არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას საკუთარ თავზე არ აუღია პასუხისმგებლობა ამ აქციაზე. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრების თქმით თამარ ჩხეიძის ბინასთან იმ ღამით შეკრებილნი მოითხოვდნენ თამარ ჩხეიძის დაპატიმრებას. და გაიძახოდნენ შეურაცხმყოფელ ლოზუნგებს. განცხადებაზე ხელი აქვთ მოწერილი ე.დ.პ.-ს დ.პ.-ს, ქრისტიანული დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების, ინვალიდთა ასოციაციის, საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაციის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, რესპუბლიკური პარტიის, დავით აღმაშენებლის საზოგადოების ხელმძღვანელებს.

ქუთაისი 11. 10 თებერვალს 4 სთ-ზე დავით აღმაშენებლის სახ. მოედანზე ლ.მესხიშვილის სახ. თეატრის შენობის წინ ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა წმ. დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს. მიტინგი ჩაატარა ქუთაისის წმ. ილია მართლის საზოგადოებამ და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა ჭიათურიდან, სენაკიდან, ხონიდან, თერჯოლიდან, დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებიდან.

სიტყვებით გამოვიდნენ ი.წერეთელი, ი.ბათიაშვილი თ. სუმბათაშვილი ( ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან) ა.ასათიანი (მონარქისტული პარტია) უნივერსიტეტის პრეს-კლუბის წარმომადგენელი დ.ტურ აშვილი და ქუთაისის ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა აღნიშნეს დავით აღმაშენებლის უდიდესი დამსახურება საქართველოს ისტორიაში. აგრეთვე განხილულ იქნა დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებისა და საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის ბოიკოტირებასთან. მიტინგს ესწრებოდა ქ.თბილისიდან სპეციალურად ამ აქციისათვის ჩასული 2500 თბილისელი მოქალაქე.

ფოთი. 12. ერთი კვირის წინ თეატრის შენობასთან მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა ქ. ბაქოს სამხედრო სასწავლებლის კურსანტმა გოჩა გიგალაშვილმა. 20 იანვარს მან ბაქოში მომხდარი მოვლენების გამო დასტოვა სასწავლებელი და წამოვიდა ფოთში. მისი მთავარი მოთხოვნაა სასწავლებლად ბაქოდან თბილისში გადმოიყვანონ. ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ცნობები

## ცნობები ერევნიდან და ბაქოდან. ცვლილებები დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობაში. მიტინგები მოსკოვში

ერასხი 7. შეწყდა მოლაპარაკება სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის და ნახიჩევანის ს.ფ.-ს შორის მძევალთა დაბრუნების თაობაზე. ბოლო დღეს მოლაპარაკე მხარეები შეიხნენ სოფ. გვაზარეთთან ტყვედ ჩავარდნილი სომეხის ბედ-იღბალს, აზერბაიჯანელები უარს ამბობენ ამ კაცის დაბრუნებაზე, რადგანაც დააკავეს იგი ნახიჩევანის ა.რ. ტერიტორიაზე იარაღით ხელში.

მოსკოვი 9. (საინფორმაციო სააგენტო "ინფრო-ვზგლიადი") პუშკინის მოედანზე გაზეთ "იზვესტიას" რედაქციასთან ჩატარდა ტ. გდლიანის და ნ.ივანოვის სტიქიური მიტინგი, მონაწილეობა მიიღო 3000-მდე კაცმა. მონაწილეები წვავდნენ გაზეთ იზვესტიის ნომერს, რომელშიც გამოქვეყნებული იყო სადეპუტატო კომისიის მასალები გდლიან -ივანოვის საქმეზე. ისინი სკანდირებდნენ: "ხელები შორს გდლიანისა და ივანოვისაგან" "მაფია თავს გვესხმის " "გაუმარჯოს თავისუფლებას" მიტინგის დაწყებიდან დაახლოებით 40 წთ-ის შემდეგ მოედანზე შემოვიდა ორი მანქანა სპეც-დანიშნულების მილიციელებით და რამოდენიმე "სასწრაფო". მიტინგის მსვლელობაში მილიცია არ ჩარეულა.

ჟურნალ "ვეჩერნის" VI ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ სუკის გამომძიებელთან ა.ფუქალინთან რომელმაც განაცხადა, რომ 1987 წელს ტ.გდლიანი და ა.ი. ივანოვი აგროვებდნენ მაკომპრომიტირებელ მასალებს ბ. ელცინის წინააღმდეგ მაგრამ XIX პარტ. კონფერენციის შემდეგ ეს მასალები გაქრა, გდლიანმა და ივანოვმა დაიწყეს მასალის შეგროვება ე. ლიგაჩოვის წინააღმდეგ.

ერევანი 9. (იუწყება სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის პრეს-ცენტრი) თავისუფლების მოედანზე ჩატარდა ს.ს.ემ-ის მიერ მოწყობილი მიტინგი გამომსვლელებმა ილაპარაკეს რიგაში ჩატარებული ს.ს.ემ-ის და აზერბაიჯანის ს.ფ. -ს პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ როგორც ცნობილია 6 თებერვალს სომხეთის დელეგაციამ უარი თქვა კონსულტაციების გაგრძელებაზე, იმის მერე, რაც აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში მოხდა სომეხ-აზერბაიჯანელებისმორიგი შეტაკება. გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს მთიან ყარაბაღთან საჰაერო ხიდის აღდგენისათვის. მიტინგის ბოლოს ს.ს.ემ-ის გამგეობის წევრმა ტერ-პეტროსიანმა მოუწოდა ხალხს გაერთიანებულიყვნენ მომავალ არჩევნებზე კომ. პარტიის დასამარცხებლად. მიტინგს ესწრებოდა 100000 კაცი.

ერევანი 10. სომხეთის ეროვნული ქვეპარლამენტის თავმჯდომარემ ფ.საფარიანმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა გაერთიანებული ფრონტი, რომელთა ძირითადი მიზნებია არცახის საკითხის მოგვარება, მიწისძვრის ზონის აღდგენა და თავდაცვის ორგანიზება.

კემეროვო 10 ( ს.ს. ინფრო-ვზგლიადი") ადგილობრივმა ხელისუფლებმა ნება დართეს კუზბასის მშრომელთა კავშირებს ოფიციალურად გამოეშვათ და გაევრცელებინათ მათი ბეჭდვითი ორგანო -გაზეთი "ნაშა გაზეტა ".

იუჟნო-სახალინსკი 10. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი ადგილობრივი პროფკავშირული და პარტიული ხელმძღვანელების გადადგომის მოთხოვნით.

ბაქო 10. (იუწყება დ. ჯაფაროვი) პოლიტგანათლების სახლში ჩატარდა აზერბაიჯანის დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის სახალხო დემოკრატიული პარტი-

ის ,აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის და აზერბაიჯანის მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები. კომ. პარტიის შეფასებისას მონაწილეებმა დაჰგმეს გორბაჩოვის პოლიტიკა როგორც ანტი-ადამიანური, მაგრამ აღნიშნეს თომ ს.კ.პ-ში არიან "ჯანმრთელი ადამიანები" რომლებიც დემოკრატიულ ძალებთან კონსოლიდაციისას შეძლებენ აზერბაიჯანის კრიზისიდან გამოყვანას.

ბაქოში გახშირდა ბინებისა და მაღაზიების გაქურდვა სამხედროების მიერ. 7 თებერვალს რამოდენიმე ჯარისკაცმა სცადა იარაღის მუქარით გაეძარცვათ მაღაზია ბაქოს ერთ-ერთ გარეუბანში, მაგრამ სამხედრო პატრულის გამოჩენის შემდეგ გაიქცნენ, პატრულმა ცეცხლი დაუშინა მათ და რამოდენიმე მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა.

11 თებერვლისათვის ბაქოში გაფიცულია საწარმო-დაწესებულებების 70%, სუმგაითში 90%.

მოსკოვი 10. როგორც იუწყება ე.მალჩანოვი კერძო ბინაზე 6 სთ-ის განმავლობაში ტარდებოდა დ.კ.-ის მოსკოვის ორგანიზაციის საერთო სხდომა. საბჭოს ყოფილმა წევრებმა ა.გრიაზნოვმა, ა. გალაქტიონოვმა, ი. ცარკოვმა და ა. ელიოვიჩმა მოხსნეს საკუთარი კანდიდატურები და უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა არჩეულიყო საკოორდინაციო საბჭო 9 კაცის შემადგენლობით. კენჭისყრის შედეგად საბჭოში არჩეული არიან: ვ. კუზინი, ვ.ნავადვორსკაია ,ს.ხრიპნიკოვი, ა. ლუკაშოვი და ა.მაისურიანი ოთხი ადგილი კი ვაკანტური აღმოჩნდა რადგანაც პრეტენდენტებმა ვერ შეაგროვეს ხმების 50%. გაზეთ "სვობოდნოე სლოვოს" რედაქტორის არჩევის საკითხი გადაიდო, გაზეთის რედაქტორად დარჩა ე.მალჩანოვი. კრებას ესწრებოდა 80 კაცი დ.კ.-ის მოსკოვის ორგანიზაციის შემადგენლობა 120 კაცი. ა. მურაშოვის შეფასებით დემოკრატიული კავშირის წევრთა რაოდენობამ 1000 კაცს გადააჭარბა.

პეტერბურგი 10. (პრეს-რელის-გლასნოსტი ) შეიქმნა ქრისტიანული ორგანიზაციების სააკორდინაციო საბჭო, რომელიც აპირებს ქრისტიანული ორგანიზაციების კონფერენციის ჩატარებას ამა წლის მარტში. 6 თებერვლიდან გრძელდება სპეც. ტრანს. ავტოს IV ავტოკოლონის მძღოლების გაფიცვა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით.

ხარკოვი 11. (დ.ზარტენევი -პრეს -რელის "გლასნოსტი") უკრაინის სახალხო "რუხისა" და ებრაული კულტურის საზოგადოების ძერჟინსკის სახელობის პარკში ჩატარდა საპროტესტო მიტინგი ნაციონალურ პატრიოტული ფრონტის "პამიატის"საწინააღმდეგოდ. მიტინგს ესწრებოდა 3000 -მდე კაცი, იმავე დღეს ხარკოვში დამთავრდა უკრაინის დამოუკიდებელი პროფკავშირების დამფუძნებელი კონფერენცია.

ერევანი 11. სომხეთის ეროვნული მოძრაობის პრესცენტრიდან მიღებული ცნობებით გრძელდებოდა შეტაკებები აზერბაიჯან -სომხეთის საზღვრებზე. 6 იანვარს დილით აზერბაიჯანელებმა ავტომატიური იარაღით დაუშინეს ცეცხლი სომხეთის გორისის რაიონის სოფლებს : კარნაძორს და არაგუშს.

მიუხედავად საგანგაშო რაიონის კომენდანტის გენერალ საფონოვის პირობისა, გრძელდება გორის-ლაჩინ-სტეპანკერტის გზის ბლოკირება. ვეტმფრენები ვერ დაფრინავენ ერევნიდან აზერბაიჯანის სომხურ რაიონებში ამ რაიონებში იგრძნობა პროდუქტებისა და მედიკამენტების უკმარისობა. 7 იანვარს კაზახის რაიონში აზერბაიჯანელმა მაცხოვრებლებმა დაიწყეს მშენებლობა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის მახლობლად, ამან გამოიწვია აღშფოთება სომხურ სოფელ-პერდავანში, რადგან არსებული კანონებით ნებისმიერი მშენებლობა საზღვრიდან 3 კმ-ზე ახლოს აკრძალულია. საზღვართან შეიკრიბა 1000-1000 კაცი ორივე მხრიდან. მდგომარეობა განიმუხტა იმის შემდეგ, რაც აზერბაიჯანელებმა შეწყვიტეს მშენებლობა, იმავე დღეს სამხედროებმა ალყა დაარტყეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებს: კამოს და აზაქს. ამის შემდეგ სამხედროებმა აზერბაიჯანის ს.ფ. -ის წარმომადგენლებთან ერთად დაიარეს სახლები და სთავაზობდნენ მაცხოვრებლებს გადასულიყვნენ სხვა ადგილას. ვეტმფრენები რომლებიც ერევნიდან ამ სოფლებში გადმოფრინდნენ, დაბრუნდნენ უკან სამხედრო კომენდანტის ბრძანების შემდეგ. 8 თებერვალს აზერბაიჯანელებმა ცეცხლი დაუშინეს სოფ. ორჯონიკიძეს. მსხვერპლი არ ყოფილა.

დუშამბე 11. როგორც იუწყება ა.მინასიანი , აქ ჩატარდა აზერბაიჯანის ს.ფ.-ის მიერ მოწყობილი მიტინგი. მიტინგის ორგანიზატორებმა მოითხოვეს ,რომ ქალაქი დატოვონ ბაქოდან გამოქცეულმა სომხებმა და აგრეთვე დუშანბეს მკვიდრმა სომხებმაც.

## ქართული საინფორმაციო ცენტრი

I. ნ.გაბრიჩიძე (კოორდინატორი)
ტელ. 23-20-65 ქ.თბილისი, ი.ჭავ-
ჭავაძის I შეს.№2 ბ.58
ძ.გაგლოშვილი ტ. 31-55-42
ზ.მაისურაძე ტ. 38-76-50
დ.ჯაგნიძე ტ. 36-40-55

მ.მაისურაძე ტ. 36-34-74
მ.თავხელიძე ტ. 38-69-26
ზ. შენგელია ტ. 51-48-73
ვ. ქუთივაძე ტ. 39-14-64
მ.მელაძე ტ. 72-48-48